

საქართველოს კანონი

საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. საქართველოს საგადასახადო კოდექსში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №41, 30.12.2004, მუხ. 200) შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილება და დამატება:

1. 228-ე მუხლს ბოლოში დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-7 ნაწილი:

„7. ამ მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისდ ელექტროენერგეტიკული საწარმოები (ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული კვალიფიციური საწარმოები) დასაბეგრი ოპერაციის თანხის კორექტირებას ახდენენ მიმდინარე საგადასახადო წლის დეკემბრის თვეში, თუ დასაბეგრი ოპერაციის თანხის ცვლილება გამოწვეულია კვალიფიციური საწარმოების მიერ წარმოებული, იმპორტირებული, მოხმარებული (შესყიდული) ან/და ექსპორტირებული ელექტროენერგიის რაოდენობების ცვლილებით, რასაც თან ახლავს ან არ ახლავს ელექტროენერგიის გასაყიდი ან/და შესასყიდი ტარიფის (ფასის) ცვლილება“.

2. 248-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული პირი ვალდებულია საქონლის/მომსახურების მიმღების მოთხოვნისას, გარდა ამ კოდექსის 238-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებში აღნიშნული საქონლის მიწოდებისა, დასაბეგრი ოპერაციის განხორციელებიდან არა უგვიანეს მეორე დღისა გამოწეროს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა და წარუდგინოს იგი მიმღებს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს უკანასკნელი საგადასახადის გადამხდელი, ხოლო ამ კოდექსის 238-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებში აღნიშნულ შემთხვევაში – საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოწერა და მიმღებისთვის წარდგენა უზრუნველყოს არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 12 რიცხვისა.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2008 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტის
მოვალეობის შემსრულებელი

ნინო ბურჯანაძე

თბილისი,
2007 წლის — დეკემბერი.
N —